



ანგარიშის ბიზნეს ობიექტი

ვნახოთ როგორ ხდება ანგარიშის ბიზნეს ობიექტთან მუშაობა. კერძოდ ანგარიშის ბიზნეს ობიექტის გამოყენებით შევასრულოთ შემდეგი მოქმედებები:

- [1. ანგარიშების სიის ამოღება, ფილტრაცია](#)
- ფინანსური ანგარიშის გახსნა, კორექტირება, ნაშლა.
 - [2.1 ანგარიშის გახსნა](#)
 - [2.2 ანგარიშის კორექტირება](#)
 - [2.3 ანგარიშის ნაშლა](#)
- დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა, კორექტირება, ნაშლა.
 - [3.1 დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა \(1 მეთოდი \)](#)
 - [3.2 დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა \(მე-2 მეთოდი\)](#)
- საგნის ანგარიშის გახსნა, კორექტირება, ნაშლა.
 - [4.1 საგნის ანგარიშის გახსნა \(1 მეთოდი\)](#)
 - [4.2 საგნის ანგარიშის გახსნა \(მე-2 მეთოდი\)](#)


ანგარიშების სიის ამოღება, ფილტრაცია


გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ადმინისტრირება/მაკროსები“. იხილავთ მაკროსების სიას, რაც სისტემას მიეყვება. ახალი მაკროსის დასამატებლად დააჭირეთ დამატების ღილაკს-
. გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „GetAccountList“, ხოლო კომენტარში-„ანგარიშების სიის ამოღება“




დააჭირეთ ღილაკს OK. ნახავთ რომ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი დაემატება მაკროსების სიაში.

კომენტარი	დასახელება	მაკროსის ტიპი
Import income accrual from Excel	ExpenseIncomeFromExcel	0 - უნივერსალური მაკროსი.
Import POS terminal payments from banks	POS_DATA_IMPORT	0 - უნივერსალური მაკროსი.
თანხის შეტანა სალაროდან მანკში	MyMacro	0 - უნივერსალური მაკროსი.
ანგარიშების სის ამოღება	GetAccountList	0 - უნივერსალური მაკროსი.
Assets	FormTrialBalance_ToolBoxButtonActives	1 - ფორმის მაკროსი - ინსტრ...
Capital and leability	FormTrialBalance_ToolBoxButtonPassivs	1 - ფორმის მაკროსი - ინსტრ...


მაკროსში ცვლილებების შესატანად, ფორმულების დასაწერად გავხსნათ მაკროსი. ამისათვის ღილაკების სისტემიდან დააჭირეთ ღილაკს .




იგივე ღილაკის გამოყენება შეგიძლიათ ამოცანების მენიუდან „ინსტრუმენტები/გავხსნათ მაკროსი F11“





იხილავთ ეკრანს, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან. ძირითად ეკრანში ხდება მაკროსის ოპერატორების (ფორმულების) დამატება, ხოლო ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულია სისტემის მიერ გამზადებული ობიექტების სია, რომელიც დაგვეხმარება მაკროსების წერაში.




ჩვენი მიზანია ამოვიღოთ ანგარიშების სია. ამისათვის გამოვიყენოთ სისტემის მიერ გამზადებული ბიზნეს ობიექტი (Business Object), რომელიც მდებარეობს ეკრანის მარჯვენა ნაწილში. მაუსით დააჭირეთ Business Object -ის წინ არსებულ „+“ ნიშანს და გაშალეთ „BO_Account“




ანგარიშების სიის ამოსაღებად აირჩიეთ  GetDataTable ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. დაინახავთ რომ ძირითად ეკრანში გამზადდება ანგარიშების ამოღებისთვის საჭირო ბრძანება.




“Table1” იქნება ანგარიშების ცხრილი. ეკრანზე გამოვიტანოთ ცვლადების არე (თუ რა თქმა უნდა არ არის გამოტანილი), რომელშიც განთავსდება მაკროსის შესრულების შედეგად შევსებული ცვლადების სიდიდეები. ამისათვის აირჩიეთ მენიუ „ხედავ/ცვლადების სიდიდეები“



გავუშვათ მაკროსი შესრულებაზე ღილაკით  , რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეკრანის ქვედა ნაწილში „ცვლადების არეში“ გამოჩნდება ცვლადების ჩამონათვალი, სადაც შეგეძლება ნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიიღო თითოეულმა ცვლადმა (ჩვენს შემთხვევაში: Table1) და აქვე ჩანს ცვლადის ტიპი: ტექსტურია, რიცხვითი, კი და არას ტიპის და ა.შ. (ჩვენი ცხრილის შემთხვევაში Empty)

Variables		
Name	Value	VarType
Table1		Empty

ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - „Variables“ გასწვრივ ჩამოშლადი სია.





აირჩიეთ „Table1“. იხილავთ ბიზნეს ობიექტის მიერ დაფორმირებულ ანგარიშების ცხრილს.

The screenshot shows a software interface with a table titled 'Table1' displaying account data. The table has columns for Account ID, Name, Level, Comment, Close, Leaf, and Enable Min Stock Balance. The data is as follows:


	OA_AccountsII	Account	ParentID	Name	Level	Comment	Close	Leaf	Enable Min Stock Balance
1	1	1000	0	მიმდინარე ...	0		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2	10	1100	1	წადი ფულ...	1		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3	46	1110	10	წადი ფულ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	47	1120	10	წადი ფულ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	11	1200	1	ფული საბან...	1		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	48	1210	11	ეროვნული ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	49	1220	11	უცხოური ვა...	2		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8	250	1220 1	49	GE11BG1111...	3		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9	50	1230	11	უცხოური ვა...	2		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10	51	1290	11	ფული სხვა ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11	12	1300	1	მოკლევადი...	1		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>


როგორც ხედავთ ანგარიშის ცხრილის ამოღების ფუნქციამ ამოიღო სისტემაში არსებული ყველა ანგარიში, თუმცა შესაძლებელია ამოვიღოთ ჩვენთვის სასურველი ანგარიშები. ანუ გავფილტროთ ანგარიშები ჩვენთვის სასურველი კრიტერიუმით და ისე დავაფორმიროთ ცხრილი. მაგალითად ანგარიშთა გეგმა გავფილტროთ ისეთი ანგარიშებით, რომელიც იწყება 11 ან 12 -ით. ამისათვის მაკროსში ანგარიშის ცხრილის ამოღების ფუნქციის შესაბამის ცვლადს (Table1) მესამე პარამეტრად უნდა გადავცეთ ანგარიშების ფილტრის SQL ბრძანება. თუ თქვენ ფლობთ SQL ენას, ბრძანება შეგიძლიათ თქვენ თვითონ დანეროთ. მაგალითად „Account LIKE N'11%' OR Account LIKE N'12%'“ თუმცა გაითვალისწინეთ რომ, სისტემა საშუალებას იძლევა ანგარიშთა გეგმა გავფილტროთ თქვენთვის სასურველი კრიტერიუმით და სისტემის მიერ დაფორმირებული SQL ბრძანება გამოიყენოთ მაკროსში.

განვიხილოთ მაგალითი. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშთა გეგმა“ და ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . იხილავთ ფილტრის ეკრანს. ეკრანი გაფილტრეთ შემდეგნაირად




გადადით ბარათში „SQL“





როგორც ხედავთ სისტემამ ავტომატურად დააფორმირა ანგარიშების ფილტრის შესაბამისი SQL ბრძანება. მონიშნეთ ბრძანება,გააკოპირეთ და დახურეთ ფილტრის ეკრანი. გადადით მაკროსის ანყოფის ეკრანზე, გააკორექტირეთ ცვლადის “Table1” შესაბამისი ბრძანების ხაზი მასზე მათსი ორჯერ დაწკაპებით და მესამე პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში ჩასვით გაკოპირებული ბრძანება. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე-
BO_Account.GetDataTable(ActiveDatabase , 0, "(UPPER([ViewOA_Accounts].[Account]) LIKE N'11%' OR UPPER([ViewOA_Accounts].[Account]) LIKE N'12%')", "") . ვნახოთ როგორ შეავსებს ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსი ანგარიშების ცხრილს. ღილაკების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი  და ცვლადების არეში ჩამოშლადი სიიდან აირჩიეთ “Table1”


	OA_AccountsID	Account	ParentID	Name	Level	Comment	Close	Leaf	Enable Minus Stock Balance	Type
▶ 1	10	1100	1	ნადი ფულ...	1		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
2	46	1110	10	ნადი ფულ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
3	47	1120	10	ნადი ფულ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
4	11	1200	1	ფული საბან...	1		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
5	48	1210	11	ეროვნული ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
6	49	1220	11	უცხოური გა...	2		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
7	250	1220 1	49	GE11BG1111...	3		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
8	50	1230	11	უცხოური გა...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0
9	51	1290	11	ფული სხვა ...	2		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	0


როგორც ხედავთ ანგარიშების ცხრილი „Table1“ გაიფილტრა ჩვენს მიერ გაფილტრული მონაცემებით. შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი.

ფინანსური ანგარიშის გახსნა


მაკროსების საშუალებით ასევე შესაძლებელია ანგარიშის გახსნა. განვიხილოთ მაგალითი. ანგარიშის 1120 (ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში) ქვეშ გავხსნათ ქვეანგარიში 1120 1. ამისათვის მაკროსების სიაში ღილაკით  დაამატეთ კიდევ ერთი მაკროსი. გამოსული ფანჯარა შეასვით შემდეგნაირად



დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/AddNew“ მასზე მუსის ორჯერ დაჭერით.




ბრძანების ხაზში BO_Account.AddNew("", ActiveDatabase , 0, "") პირველ პარამეტრში მივუთითოთ ანგარიში, რომლის ქვეშაც უნდა გაიხსნას ახალი ქვეანგარიში. გააკორექტირეთ Variable1 ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ ანგარიში, ჩვენს შემთხვევაში "1120". ანგარიში მოათავსეთ ორმაგ აპოსტროფებში, რადგან ანგარიშის ნომერი სიმბოლური ტიპისაა და არა ციფრული. საბოლოოდ ბრძანებას ექნება შემდეგი სახე; BO_Account.AddNew("1120", ActiveDatabase , 0, ""). გაითვალისწინეთ, რომ ანგარიშის დამატების შემდეგ აუცილებელია ანგარიშს მივანიჭოთ გარკვეული თვისებები. ჩვენს შემთხვევაში ანგარიშს უნდა განვუსაზღვროთ დასახელება. ამისათვის ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი Variable1 და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/ AccountName/Set“



დაემატება ცვლადი BO_Account.AccountName. გააკორექტირეთ ცვლადის შესაბამისი ბრძანება მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და მიუთითეთ ანგარიშის დასახელება მაგალითად „ნაღდი ფული USD-ში“. ანგარიში რომ დაემატოს და შენახული იქნას მონაცემთა ბაზაში, დადექით ცვლადზე „BO_Account.AccountName“ და ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/ Update“ საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე.

ცვლადი	ბრძანების ხაზი
1 Variable1	BO_Account.AddNew("1120", ActiveDatabase , 0, "")
2 BO_Account.AccountName	"ნაღდი ფული USD-ში"
3 Variable2	BO_Account.Update()


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით . შეინახეთ მაკროსი ღილაკით და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ მაკროსმა დაამატა თუ არა ანგარიში ანგარიშთა გეგმაში. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშთა გეგმა“





როგორც ხედავთ დაემატა ანგარიში 1120 1. ამგვარად ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსის საშუალებით დავამატეთ ანგარიში და მივანიჭეთ დასახელება.

ანგარიშის კორექტირება

განვიხილოთ ანგარიშის კორექტირება. მაკროსის საშუალებით გავაკორექტიროთ ჩვენს მიერ დამატებული ანგარიში და შევუცვალოთ დასახელება მაგალითად „ნაღდი ფული USD-საღარო1“. ამისათვის მაკროსების სიაში ღილაკით დაამატეთ კიდევ ერთი მაკროსი. გამოსული ფანჯარა შეასვეთ შემდეგნაირად





და დააჭირეთ ღილაკს OK. ახალდამატებულ მაკროსში ფორმულების დასაწერად ღილაკების სისტემიდან დააჭირეთ ღილაკს . იმისათვის რომ ანგარიში გავაკორექტიროთ, თავდაპირველად უნდა მოხდეს გასაკორექტირებელი ანგარიშის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_Account/Get“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



ბრძანების ხაზში `BO_Account.Get("", ActiveDatabase)` ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ გასაკორექტირებელი ანგარიში, მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „1120 1“. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ ანგარიშის ნომერი. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე `BO_Account.Get("1120 1", ActiveDatabase)`. დასახელების შესაცვლელად ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი `Variable1` და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, ანგარიშის ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/ AccountName/Set“. გააკორექტირეთ ახალდამატებული ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ „ნაღდი ფული USD- სალარო1“. დასახელების მსგავსად შეგიძლიათ ანგარიშს შეუცვალოთ მაგალითად კომენტარი, ამისათვის ანგარიშის ბიზნეს ობიექტების სიიდან უნდა აირჩიოთ „BO_Account/AccountComment/Set“ , შეგიძლიათ შეუცვალოთ მშობელი ანგარიში „BO_Account /ParentAccountNumber/ Set“ ფუნქციის საშუალებით და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში შევუცვალეთ მხოლოდ დასახელება. საბოლოო შედეგის მისაღებად მონიშნეთ ბოლოს დამატებული ცვლადი და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/Update“. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Account.Get("1120 1", ActiveDatabase)
2	BO_Account.Account...	"ნაღდი ფული USD- სალარო1"
▶ 3	Variable2	BO_Account.Update()

გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ

მაკროსმა შეცვალა თუ არა ანგარიშის დასახელება. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშითა გეგმა“

ანგარიში	დასახელება
1000	მიმდინარე აქტივები
1100	ნაღდი ფული სალაროში
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში
1120 1	ნაღდი ფული USD- სალარო1
1200	ფულადი საშენაო საგნების სესხ

დაინახავთ რომ ანგარიშზე აისახა შესაბამისი ცვლილებები.

ანგარიშის წაშლა

ვნახოთ როგორ ხდება მაკროსის საშუალებით ანგარიშის წაშლა. გადადით მაკროსების სიაში. დაამატეთ კიდევ ერთი მაკროსი და შეავსეთ ფანჯარა


დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_Account/Delete“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. ბრძანების ხაზში BO_Account.Delete("", ActiveDatabase) ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ წასაშლელი ანგარიში, მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „1120 1“. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ ანგარიშის ნომერი. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი BO_Account.Delete("1120 1", ActiveDatabase). შედეგის მისაღებად მონიშნეთ ცვლადი Variable1 და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/Update“. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:


	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Account.Delete("1120 1", ActiveDatabase)
2	Variable2	BO_Account.Update()


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ


მაკროსმა წაშალა თუ არა ანგარიში. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშითა გეგმა“, განაახლეთ ანგარიშთა გეგმის ეკრანი. დაინახავთ რომ ანგარიში 1120 1 სიაში აღარ დაგხვდებათ.


დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა (1 მეთოდი)


გარდა ფინანსური ანგარიშებისა, სისტემაში ასევე შესაძლებელია დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა. თავდაპირველად დავამატოთ დებიტორ/კრედიტორი მონაცემთა ბაზაში. გამოიძახეთ მენიუ “ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“. იხილავთ სიას. დაამატეთ ჩანაწერი ღილაკით  და გამოსული ფანჯარა შეასვით შემდეგნაირად: საიდენტიფიკაციო კოდი-201300201, დასახელება- შპს დელტა




შეინახეთ მონაცემები და გამოიძახეთ მაკროსების სია. მაკროსების სიაში ღილაკით  დაამატეთ მაკროსი და გამოსული ფანჯარა შეასვით შემდეგნაირად



დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ “BO_Account/AddNew“ მასზე მუსის ორჯერ დაჭერით.



ბრძანების ხაზში BO_Account.AddNew("", ActiveDatabase , 0, "") პირველ პარამეტრში მივუთითოთ ანგარიში, რომლის ქვეშაც უნდა გაიხსნას ახალი ქვეანგარიში. გააკორექტირეთ Variable1 ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ ანგარიში, ჩვენს შემთხვევაში "1490". ანგარიში მოათავსეთ ორმაგ აპოსტროფებში, რადგან ანგარიშის ნომერი სიმბოლური ტიპისაა და არა ციფრული. ბრძანებას ექნება შემდეგი სახე; BO_Account.AddNew("1490", ActiveDatabase , 0, ""). ანგარიშის დამატების ბრძანების მე-3 პარამეტრში ხდება ანგარიშის სახეობის განსაზღვრა. მაუსით დააღეჭეთ მე-3 პარამეტრზე



იხილავთ აღწერას. როგორც ხედავთ მე-3 პარამეტრში 0-ის ჩანერის შემთხვევაში გაიხსნება ფინანსური ანგარიში, 1-საგნის ანგარიში, 2-ის შემთხვევაში ორგანიზაციის ანგარიში, 3 -ის შემთხვევაში პიროვნების. ჩვენს შემთხვევაში მე-3 პარამეტრში მიუთითეთ 2. ბრძანების ხაზის მე-4 პარამეტრში უნდა მივუთითოთ დებიტორ/ კრედიტორის კოდი. ჩვენს შემთხვევაში ორმაგ აპოსტროფებში მივუთითოთ ჩვენს მიერ დამატებული დებიტორ/კრედიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი „201300201“. საბოლოოდ ბრძანებას ექნება შემდეგი სახე: BO_Account.AddNew("1490", ActiveDatabase ,2, "201300201"). დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნის შემთხვევაში ანგარიშის დასახელების განსაზღვრა არ არის საჭირო, ანგარიშის დასახელებაში ავტომატურად მიეთითება დებიტორ/კრედიტორის დასახელება. ანგარიში რომ დაემატოს და შენახული იქნას მონაცემთა ბაზაში ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/ Update“ საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე.

ცვლადი	ბრძანების ხაზი
1 Variable1	BO_Account.AddNew("1490", ActiveDatabase , 2, "201300201")
2 Variable2	BO_Account.Update()



გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ


მაკროსმა დაამატა თუ არა დებიტორ/კრედიტორის ანგარიში. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშთა გეგმა“, განაახლეთ ანგარიშთა გეგმის ეკრანი.


ანგარიში	დასახელება
- 1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
- 1480	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები
- 1485	საბაჟოსთვის გადახდილი ავანსები
☒ 1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
☒ 1490 10	201300201 შპს დელტა
☒ 1500	მოკლევადიანი სათამაშო მოთხოვნები

როგორც ხედავთ ანგარიშთა გეგმაში დაემატა დებიტორ/კრედიტორის ანგარიში.

დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა (მე-2 მეთოდი)

განვიხილოთ დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა ბიზნეს ობიექტის სხვა მეთოდის გამოყენებით. დავამატოთ კიდევ ერთი დებიტორ/კრედიტორი მონაცემთა ბაზაში. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“. დაამატეთ ჩანაწერი ღილაკით  და გამოსული ფანჯარა შეავსეთ შემდეგნაირად: საიდენტიფიკაციო კოდი-201400201, დასახელება- შპს ალფა. შეინახეთ მონაცემები და გადადით მაკროსების სიაში. დაამატეთ მაკროსი ღილაკით  და გამოსული ფანჯარა შეავსეთ შემდეგნაირად

დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . იმისათვის რომ დავამატოთ დებიტორ/კრედიტორის ქვეანგარიში, თავდაპირველად უნდა მოხდეს დებიტორ/კრედიტორის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/BO_DebitorCreditor/Get“ მასზე მუსის ორჯერ დაჭერით.





ბრძანების ხაზში BO_DebitorCreditor.Get("", ActiveDatabase) ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ იმ დებიტორ/კრედიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის შესაბამისი ანგარიშის გახსნაც გვსურს. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში ჩვენს მიერ დამატებული დებიტორ/კრედიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი „201400201“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე BO_DebitorCreditor.Get("202300202", ActiveDatabase). ანგარიშის გახსნის მეთოდი, რომელსაც ახლა განვიხილავთ იყენებს დებიტორ/კრედიტორის უნიკალურ ნომერს (ID). იმისათვის რომ ამოვიღოთ ჩვენს მიერ დამატებული დებიტორ/კრედიტორის ID, ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/BO_DebitorCreditor/ ID/Get

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_DebitorCreditor.Get("201400201", ActiveDatabase)
▶ 2	Variable2	BO_DebitorCreditor.ID

ანგარიშის გასახსნელად ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/ BO_Account/GetDebitorCreditorAccountByParent. დაემატება ცვლადი Variable3. ცვლადის შესაბამის ბრძანების ხაზში BO_Account.GetDebitorCreditorAccountByParent("", 0, ActiveDatabase , False, False) პირველ პარამეტრში მივუთითოთ ანგარიში, რომლის ქვეშაც უნდა გაიხსნას ახალი ქვეანგარიში. გააკორექტირეთ Variable3 ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ ანგარიში, ჩვენს შემთხვევაში "1490". ანგარიში მოათავსეთ ორმაგ აპოსტროფებში. მე-2 პარამეტრში უნდა მივუთითოთ დებიტორ/კრედიტორის უნიკალური ნომერი (ID). ჩვენს შემთხვევაში ID-ის მნიშვნელობა ენიჭება ცვლადს Variable2. შესაბამისად ბრძანების ხაზის მე-2 პარამეტრში 0-ის მაგივრად უნდა მივუთითოთ Variable2. ამისათვის მაუსით ორჯერ დააწკაპეთ ცვლადზე Variable2 და გააკოპირეთ. გააკორექტირეთ Variable3 -ის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მე-2 პარამეტრში ჩასვით გაკოპირებული მნიშვნელობა. ბრძანებას ექნება შემდეგი სახე BO_Account.GetDebitorCreditorAccountByParent("1490", Variable2, ActiveDatabase , False, False). ბრძანების მე-4 პარამეტრით განისაზღვრება გაიხსნას თუ არა ანგარიში. ავტომატურად მითითებულია False, რაც იმას ნიშნავს, რომ მაკროსი ამოიღებს გადაცემული პარამეტრების მიხედვით დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის უნიკალურ ნომერს- ID, თუ ასეთი ანგარიში არსებობს მონაცემთა ბაზაში. იმისათვის რომ ანგარიშის არ არსებობის შემთხვევაში ავტომატურად გაიხსნას დებიტორ/კრედიტორის ანგარიში, მე-4 პარამეტრში მივუთითოთ True. ბრძანებას ექნება შემდეგი სახე BO_Account.GetDebitorCreditorAccountByParent("1490", Variable2, ActiveDatabase , True, False). ანგარიში რომ დაემატოს და შენახული იქნას მონაცემთა ბაზაში ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/ Update“ საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე.


	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_DebitorCreditor.Get("201400201", ActiveDatabase)
2	Variable2	BO_DebitorCreditor.ID
3	Variable3	BO_Account.GetDebitorCreditorAccountByParent("1490", Variable2, ActiveDatabase , True, False)
▶ 4	Variable4	BO_Account.Update()


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ მაკროსმა დაამატა თუ არა დებიტორ/კრედიტორის ანგარიში. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშთა გეგმა“, განაახლეთ ანგარიშთა გეგმის ეკრანი.

ანგარიში	დასახელება
1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
1490 10	201300201 შპს დელტა
1490 12	201400201 შპს ალფა
1500	მოკლევადიანი სათანამსუქო მოთხოვნები


როგორც ხედავთ ანგარიშთა გეგმაში დაემატა დებიტორ/კრედიტორის ანგარიში. დებიტორი/კრედიტორის ანგარიშის კორექტირება და წაშლა ფინანსური ანგარიშის მსგავსია.


საგნის ანგარიშის გახსნა (1 მეთოდი)


დავამატოთ საგნის ანგარიში მაკროსის საშუალებით. თავდაპირველად დავამატოთ საგანი მონაცემთა ბაზაში. გამოიძახეთ მენიუ “ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნები“. იხილავთ საგნების სიას. დაამატეთ ჩანაწერი ღილაკით .





გამოსული ფანჯარაში მონიშნეთ მოსანიშნი „საქონელი“ და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“. იხილავთ ეკრანს, ველში „შტრიხ კოდი“ მიუთითეთ 0033, ხოლო ველში „დასახელება“- საქონელი1.



შეინახეთ მონაცემები და გამოიძახეთ „ადმინისტრირება/მაკროსები“. მაკროსების სიაში ღილაკით  დაამატეთ მაკროსი და გამოსული ფანჯარა შეასვეთ შემდეგნაირად



დააჭირეთ ღილაკს OK. მაკროსში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ "BO_Account/AddNew" მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



ბრძანების ხაზში BO_Account.AddNew("", ActiveDatabase , 0, "") პირველ პარამეტრში მივუთითოთ ანგარიში, რომლის ქვეშაც უნდა გაიხსნას ახალი ქვეანგარიში. გააკორექტირეთ Variable1 ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ ანგარიში, ჩვენს შემთხვევაში "1610". ანგარიში მოათავსეთ ორმაგ აპოსტროფებში, რადგან ანგარიშის ნომერი სიმბოლოური ტიპისაა და არა ციფრული. ბრძანებას ექნება შემდეგი სახე; BO_Account.AddNew("1610", ActiveDatabase , 0, ""). ანგარიშის დამატების ბრძანების მე-3 პარამეტრში ხდება ანგარიშის სახეობის განსაზღვრა. მაუსით დადებით მე-3 პარამეტრზე

```



BO_Account.AddNew( "1410", ActiveDatabase , 0, "" )
ing, OA_BusinessObject.Database, OA_BusinessObject.AccountCategoryENUM, System.String)
details allocates in ActiveDatabase.ErrorDataTable.
account. After AddNew command set new properties and run Update command.


Account Number. If "", added record will be as root.
Object (OA_BusinessObject.Database class with database connected properties),
AccountCategory enum. Financial = 0, Item = 1, Organization = 2, Person = 3. Default=0.
Use Item or Organization or Person unique code

```

იხილავთ აღწერას. როგორც ხედავთ მე-3 პარამეტრში 0-ის ჩანერის შემთხვევაში გაიხსნება ფინანსური ანგარიში, 1-საგნის ანგარიში, 2-ის შემთხვევაში ორგანიზაციის ანგარიში, 3 -ის შემთხვევაში პიროვნების. ჩვენს შემთხვევაში მე-3 პარამეტრში მიუთითეთ 1. ბრძანების ხაზის მე-4 პარამეტრში უნდა მიუთითოთ საგნის კოდი. ჩვენს შემთხვევაში ორმაგ აპოსტროფებში მიუთითოთ ჩვენს მიერ დამატებული საგნის შტრიხ კოდი „0033“. საბოლოოდ ბრძანებას ექნება შემდეგი სახე: `BO_Account.AddNew("1610", ActiveDatabase ,1, "0033")`. საგნის ანგარიშის გახსნის შემთხვევაში ანგარიშის დასახელების განსაზღვრა არ არის საჭირო, ანგარიშის დასახელებაში ავტომატურად მიეთითება საგნის დასახელება. ანგარიში რომ დაემატოს და შენახული იქნას მონაცემთა ბაზაში ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/Update“ საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე.

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	<code>BO_Account.AddNew("1490", ActiveDatabase , 2, "201300201")</code>
▶ 2	Variable2	<code>BO_Account.Update()</code>

გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ მაკროსმა დაამატა თუ არა საგნის ანგარიში. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშთა გეგმა“, განაახლეთ ანგარიშთა გეგმის ეკრანი.





ანგარიში	დასახელება
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი
1610	საქონელი
1610 33	0033 საქონელი1
1620	წედლეული და მასალები


როგორც ხედავთ ანგარიშთა გეგმაში დაემატა საგნის ანგარიში.


საგნის ანგარიშის გახსნა (მე-2 მეთოდი)

განვიხილოთ საგნის ანგარიშის გახსნა ბიზნეს ობიექტის სხვა მეთოდის გამოყენებით. დავამატოთ კიდევ ერთი საგანი მონაცემთა ბაზაში. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნები“. დაამატეთ საგანი (კოდი - 0034,

დასახელება - საქონელი2) თქვენთვის უკვე ნაცნობი მეთოდით ([საგნის ანგარიშის გახსნა \(მე-2 მეთოდი\)](#)) შეინახეთ მონაცემები და გადადით მაკროსების სიაში. დაამატეთ მაკროსი ღილაკით  და გამოსული ფანჯარა შეასვით შემდეგნაირად:



დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . იმისათვის რომ საგნის ანგარიშში, თავდაპირველად უნდა მოხდეს საგნის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/ BO_Item/ GetByCode“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.





ბრძანების ხაზში `BO_Item.GetByCode("", ActiveDatabase)` ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ იმ საგნის კოდი, რომლის შესაბამისი ანგარიშის გახსნაც გვსურს. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში ჩვენს მიერ დამატებული საგნის კოდი „0034“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე `BO_Item.GetByCode("0034", ActiveDatabase)`. ანგარიშის გახსნის მეთოდი, რომელსაც ახლა განვიხილავთ იყენებს საგნის უნიკალურ ნომერს (ID). იმისათვის რომ ამოვიღოთ ჩვენს მიერ დამატებული საგნის ID ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/BO_Item / ID/Get

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	<code>BO_Item.GetByCode("0034", ActiveDatabase)</code>
▶ 2	Variable2	<code>BO_Item.ID</code>

ანგარიშის გასახსნელად ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/ BO_Account/GetItemAccountByParent. დაემატება ცვლადი Variable3. ცვლადის შესაბამის ბრძანების ხაზში `BO_Account.GetItemAccountByParent("", 0, ActiveDatabase , False, False)` პირველ პარამეტრში მივუთითოთ ანგარიში, რომლის ქვეშაც უნდა გაიხსნას საგნის ქვეანგარიში. გააკორექტირეთ Variable3 ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ ანგარიში, ჩვენს შემთხვევაში "1610". ანგარიში მოათავსეთ ორმაგ აპოსტროფებში. მე-2 პარამეტრში უნდა მივუთითოთ საგნის უნიკალური ნომერი (ID). ჩვენს შემთხვევაში ID-ის

მნიშვნელობა ენიჭება ცვლადს Variable2. შესაბამისად ბრძანების ხაზის მე-2 პარამეტრში 0-ის მაგივრად უნდა მივუთითოთ Variable2. ამისათვის მაუსით ორჯერ დააწკაპეთ ცვლადზე Variable2 და გააკოპირეთ. გააკორექტირეთ Variable3 -ის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მე-2 პარამეტრში ჩასვით გაკოპირებული მნიშვნელობა. ბრძანებას ექნება შემდეგი სახე BO_Account.GetItemAccountByParent ("1610", Variable2, ActiveDatabase , False, False). ფუნქციის მე-4 პარამეტრით განისაზღვრება გაიხსნას თუ არა ანგარიში. ავტომატურად მითითებულია False, რაც იმას ნიშნავს, რომ მაკროსი ამოიღებს გადაცემული პარამეტრების მიხედვით საგნის ანგარიშის უნიკალურ ნომერს- ID, თუ ასეთი ანგარიში არსებობს მონაცემთა ბაზაში. იმისათვის რომ ანგარიშის არ არსებობის შემთხვევაში ავტომატურად გაიხსნას საგნის ანგარიში, მე-4 პარამეტრში მივუთითოთ True. ბრძანებას ექნება შემდეგი სახე BO_Account.GetItemAccountByParent ("1610", Variable2, ActiveDatabase , True, False). ანგარიში რომ დაემატოს და შენახული იქნას მონაცემთა ბაზაში ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Account/ Update“ საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე.

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Item.GetByCode("0034", ActiveDatabase)
2	Variable2	BO_Item.ID
3	Variable3	BO_Account.GetItemAccountByParent("1610",Variable2, ActiveDatabase , True, False)
▶ 4	Variable4	BO_Account.Update()

გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ მაკროსმა დაამატა თუ არა საგნის ანგარიში. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/ანგარიშითა გეგმა“, განაახლეთ ანგარიშთა გეგმის ეკრანი.

ანგარიში	დასახელება
1610	საქონელი
1610 33	0033 საქონელი1
1610 34	0034 საქონელი2
1620	წედლეული და მასალები

როგორც ხედავთ ანგარიშთა გეგმაში დაემატა საგნის ანგარიში. საგნის ანგარიშის კორექტირება და წაშლა ფინანსური ანგარიშის მსგავსია.